საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/4533
07/10/2025

4533-01-2-202510071041

ბადრი კუჭავას (პ/ნ:

მის.:

ტელ.:

ბატონო ბადრი,

თქვენი 2025 წლის 17 სექტემბრის N01/5501 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომ – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია). თქვენს 2025 წლის 17 სექტემბრის N01/5501 განცხადებაში არ არის წარმოდგენილი მოვაჭრის საიდენტიფიკაციო ნომერი, დასახელება და მისამართი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,** წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე